საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 5 18 00951705

26/07/2018

ა(ა)იპ საქართველოს რეფორმების ასოციაცია
ფაქტ-მეტრის რედაქტორს ბატონ დავით ქუტიძეს
ელ.ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენი 2018 წლის 12 ივლისის განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N898454; 12.07.2018) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, ასევე ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის ,,ბ" პუნქტის თანახმად, დანართის სახით გიგზავნით სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით განხორციელებული/განსახორციელებელი ტრენინგ-კურსების შესახებ ინფორმაციას (დანართი N1).

ამასთან გაცნობებთ, რომ რევიზირებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც სასკოლო განათლების ძირითადი საყრდენი დოკუმენტია, ძლიერდება სამოქალაქო განათლების კომპონენტი. იგი ითვალისწინებს ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგვრის, მათ შორის ბულინგის პრევენციას არაძალადობრიობის, ადამიანის უფლებების, კონფლიქტის მართვის, ემპათიის, ტოლერანტობის შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მეშვეობით. აღნიშნულ საკითხებს მოიცავს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგნების სასწავლო გეგმები, კერძოდ:

- „მე და საზოგადოება“ (III-IV კლასები), რომლის დანერგვა დაიწყება 2018-2019 სასწავლო წლიდან;
- „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლასები), რომლის განახლებული კურიკულუმის დანერგვა ასევე 2018-2019 სასწავლო წლიდან დაიწყება;
- „მოქალაქეობა“ (VII-IX კლასები), რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს სამოქალაქო განათლების მოქმედი სასწავლო გეგმა. მისი დანერგვა მოხდება 2019-2020 სასწავლო წლიდან.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე: ncp.ge.

გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროების თანამშრომლობით შემუშავდა დამატებითი სასწავლო რესურსი V კლასის მოსწავლეებისათვის „უსაფრთხოების 10 გაკვეთილი“, რომელიც მოიცავს ძალადობისა და ბულინგის შესახებ გაკვეთილებს. ასევე, დამატებით დანართის სახით გიგზავნით სამინისტროს მიერ ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებული/დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას (იხ. დანართი N2).

ასევე, გაცნობებთ, რომ მოცემული დროისათვის, 458 (ოთხასორმოცდათვრამეტი) საჯარო სკოლაში განაწილებულია 1300 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის შრომის ანაზღაურება შეადგენს დარიცხული 500 (ხუთასი) ლარს.

ასევე, განცხადებით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია საჭიროებს დამუშავებისათვის მეტ დროს, რის შესახებაც გეცნობებათ დამატებით.

აგრეთვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ზემოაღნიშნული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

დანართი: ,,02 ელექტორნული ფაილი“

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო
უფროსი
მარიამი ძიძიგური

მ. ძიძიგური